სანოტარო აქტი

ორი ათას ოცდასამი წლის ცამეტ ივნისს მე, ნოტარიუსს თამარ ონიანს, ჩემს სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს მისამართზე: თბილისი, წერეთლის გამზირი №97, მომმართა შპს „ბინექს"-ის (ს.ნ 406095130) დირექტორმა გელა გოგრიჭიანმა, რომელიც შესაბამის უფლებამოსილებას მიანიჭებს გივი გოგრიჭიანს. მე დავადგინე გელა გოგრიჭიანის პირადობა მის მიერ წარმოდგენილი პირადობის მოწმობით და დავრწმუნდი, რომ მე ნამდვილად გელა გოგრიჭიანმა (დაბადებული 22.07.1981წელს, თბილისში, მისამართი: ონის ცხმორი, ბარათის №15IB44445, პირადი №01022004748, გაცემული 26.05.2016წელს, იუსტიციის სამინისტროს მიერ) მომმართა. მე დავადგინე შპს „ბინექს"-ის (ს.ნ 406095130) დირექტორის გელა გოგრიჭიანის უფლებამოსილება ამონაწერით მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან, მომზადების თარიღი; 24.04.2023 წელს, რეგისტრაციის თარიღი: 03.06.2013 წელს, სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ, საიდენტიფიკაციო №406095130 და ასევე მისი ქმედუნარიანობა, და ნების გამოხატვის ნამდვილობა.

მინდობილობის გამცემს უფლება აქვს ნებისმიერ დროს გააუქმოს ეს მინდობილობა. მინდობილობის გამცემმა წაიკითხა ეს მინდობილობა და ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერა ხელი შემდეგ მინდობილობას:

მინდობილობა

ორი ათას ოცდასამი წლის ცამეტ ივნისს, ამ მინდობილობით შპს „ბინექს"-ის (ს.ნ 406095130) დირექტორმა გელა გოგრიჭიანმა, შემდგომში „მინდობილობის გამცემი" გივი გოგრიჭიანმა (დაბადებული 03.07.1955 წელს, ონში, მისამართი: თბილისი თორნიკე ერისთავის ჩიხი N 3 ბ. 90, ბარათის №13IF09167, პირადი №60003000511, გაცემული 16.06.2014წელს, იუსტიციის სამინისტროს მიერ)რომელიც შემდგომში წოდებულია, როგორც –„მინდობილი პირი", მიანიჭა შემდეგი უფლებამოსილება:

მინდობილი პირი უფლებამოსილია იყოს ჩემი, როგორც შპს „ბინექს"-ის (ს.ნ 406095130) დირექტორის გელა გოგრიჭიანის წარმომადგენელი საზოგადოების კუთვნილ მიწის ნაკვეთებზე, მრავალბინიან საცხოვრებელ სახლებში და სხვა უძრავ ქონებებთან მიმართებაში, განახორციელოს, პროექტის წარდგენის წინა სამუშაოები, დაპროექტების, არსებული პროექტების კორექტირების და პროექტის ქ. თბილისის მერიასთან შეთანხმება და ყველა სამუშაო რაც საჭიროა აღნიშნულ მიწის ნაკვეთზე მშენებლობის ნებართვის მისაღებად და ნებისმიერ დროს კორექტირების განსახორციელებლად. შეიტანოს განცხადება, ხელი მოაწეროს ნებისმიერ დოკუმენტს, წარადგინოს პროექტი და კორექტირებული პროექტი თავის შეხედულებისამებრ, გააერთიანოს, გამიჯნოს, გასცეს ნებისმიერი თანხმობა, მიიღოს ნებისმიერი ინფორმაცია, ცნობა, ნებართვა და სხვა დოკუმენტი. გადაიხადოს ნებისმიერი გადასახადი და მოსაკრებელი. მიიღოს ყველა დოკუმენტი საქართველოს ყველა ადმინისტრაციული ორგანოდან, აღნიშნული დავალების შესასრულებლად გივი გოგრიჭიანი უფლებამოსილია განახორციელოს ნებისმიერი ქმედება და ხელმოწერა რაც კონკრეტულად არარის გაწერილი წინამდებარე მინდობილობაში, თუმცა აუცილებელია ზემოაღნიშნული დავალების შესასრულებლად.

მინდობილობა გაცემულია 3 წლის ვადით და ძალაშია 2026 წლის 13 ივნისის ჩათვლით.

გადახდილი სანოტარო მომსახურების საზღაური: 30.00 ლარი, დღგ 5.40 ლარი, სულ 35.40 ლარი და ხუთი (5.00) ლარი, რეგისტრაციის საზღაური, თანახმად საქართველოს მთავრობის 29.12.2011წ. №507 დადგენილებისა „სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათ გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ „31-ე მუხლისა, 39 მუხლის და საქართველოს საგადასახადო კოდექსის 166-ე მუხლისა.

ნოტარიუსი: ---------- (თამარ ონიანი)

სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

38997340272323

საქართველო



სანოტარო მოქმედების დასახელება

იურიდიული პირის (ასევე, ინდივიდუალური მეწარმის მიერ) მიერ მინდობილობის/რწმუნებულების დადასტურება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N230770444

რეგისტრაციის თარიღი

13.06.2023 წ

ნოტარიუსი: თამარ ონიანი
მისამართი: თბილისი, აკ. წერეთლის გამზ. 97
ტელეფონი: 599 57 87 57

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

სსიპ საჯარო რეესტრის
ეროვნული სააგენტო

19 სექ 2024

გადაწყვეტილება # 892024377645-05 (19.09.2024)

სარეგისტრაციო წარმოების შეჩერების შესახებ

განცხადების ნომერი: **892024377645** განცხადების მიღების თარიღი: **09.09.2024 14:07**

დაინტერესებული პირი: **შპს ბინექს (406095130)**

წარმომადგენელი: **გელა გოგრიჭიანი (01022004748)**

უძრავი ნივთის მისამართი/საკადასტრო კოდი: **ქალაქი თბილისი, გიორგი ჭყონდიდელის ქუჩა N 22, კორპუსი 1, კორპუსი 2, ნიშნული -2.90 ავტოფარეხი N1, 01.12.12.024.195**

მომსახურების სახე: **მშენებარე უძრავ ნივთზე რეგისტრირებულ უფლებაში ცვლილების რეგისტრაცია (პროექტის განშლა/ პროექტის კორექტირება)**

დ ა ს კ ვ ნ ა

1. შეჩერდეს სარეგისტრაციო წარმოება „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის 21.1. .“ბ“, „გ“ და „ი“ მუხლის შესაბამისად.

2. სარეგისტრაციო მოთხოვნის დაკმაყოფილებისთვის:
ბრძანებით N ბ17.01240604 შენობა-ნაგებობის ტექნიკურ ეკონომიკურ მაჩვენებლებში ავტოსადგომის დანიშნულებით შეთანხმებულია 1136,7 კვ.მ., ხოლო თანდართული სართულებრივი გეგმების მიხედვით დგინდება, რომ -4.50 ნიშნულზე მდებარე ერთეული ავტოსადგომებისა და მისასვლელი გზის ფართი სრულად მოიცავს 1136.7 კვ.მ.-ს, ამასთან 0.00 ნიშნულზე, სართულებრივი გეგმის მიხედვით, ფიქსირდება, როგორც ღია, ასევე შენობის შიდა ავტოსადგომები N51, და N52, ამასთან სართულის ექსპლიკაციაში განმარტებულია, რომ 0.00 სართულზე მდებარეობს ღია ავტოსადგომები, რომლებიც არ არის შეთანხმებული.

გთხოვთ წარმოადგინოთ ურთიერთშესაბამისობაში მყოფი საპროექტო დოკუმენტაცია, გადაწყვეტილების დადგენილი ხარვეზის აღმოფხვრის ნაწილში, სადაც შეთანხმებული იქნება ყველა ავტოსადგომი. განშლა განაწილების დოკუმენტი განხილულ იქნება მას შემდგომ რაც წარმოადგენთ კორექტირებულ საპროექტო დოკუმენტაციას, ასევე დამატებით გაცნობებთ რომ შესაძლებელია წარმოსადგენი გახდეს მესაკუთრა თანხმობებიც.

3. 30 კალენდარული დღის ვადაში დამატებითი დოკუმენტაციის წარმოუდგენლობის შემთხვევაში, სარეგისტრაციო წარმოება შეწყდება.

დ ა ს ა ბ უ თ ე ბ ა

1. განცხადებით მოთხოვნილია მშენებარე უძრავ ნივთზე რეგისტრირებულ უფლებაში ცვლილების რეგისტრაცია (პროექტის განშლა/ პროექტის კორექტირება)

2. მარეგისტრირებელი ორგანოს მიერ საქმეში არსებული ყველა დოკუმენტაციის/ინფორმაციის შესწავლისა და ურთიერთშეჯერების შედეგად დადგინდა, რომ ბრძანებით N ბ17.01240604 შენობა-


ნაგებობის ტექნიკურ ეკონომიკურ მაჩვენებლებში ავტოსადგომის დანიშნულებით შეთანხმებულია 1136,7 კვ.მ., ხოლო თანდართული სართულებრივი გეგმების მიხედვით დგინდება, რომ -4.50 ნიშნულზე მდებარე ერთეული ავტოსადგომებისა და მისასვლელი გზის ფართი სრულად მოიცავს 1136.7 კვ.მ.-ს, ამასთან 0.00 ნიშნულზე, სართულებრივი გეგმის მიხედვით, ფიქსირდება, როგორც ღია, ასევე შენობის შიდა ავტოსადგომები N51, და N52, ამასთან სართულის ექსპლიკაციაში განმარტებულია, რომ 0.00 სართულზე მდებარეობს ღია ავტოსადგომები, რომლებიც არ არის შეთანხმებული.

გთხოვთ წარმოადგინოთ ურთიერთშესაბამისობაში მყოფი საპროექტო დოკუმენტაცია, გადაწყვეტილების დადგენილი ხარვეზის აღმოფხვრის ნაწილში, სადაც შეთანხმებული იქნება ყველა ავტოსადგომი. განშლა განაწილების დოკუმენტი განხილულ იქნება მას შემდგომ რაც წარმოადგენთ კორექტირებულ საპროექტო დოკუმენტაციას, ასევე დამატებით გაცნობებთ რომ შესაძლებელია წარმოსადგენი გახდეს მესაკუთრეთა თანხმობებიც.

3. „საჯარო რეესტრის შესახებ" საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ", „გ" და „ი" ქვეპუნქტების საფუძველზე, მარეგისტრირებელი ორგანოს მიერ მიღებულ იქნა გადაწყვეტილება სარეგისტრაციო წარმოების შეჩერების შესახებ, ვინაიდან განცხადებას თანდართული დოკუმენტი/ინფორმაცია არ არის წარმოდგენილი საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ფორმითა და წესით, დაინტერესებული პირის განცხადება ან/და თანდართული დოკუმენტი ან ინფორმაცია არ იძლევა უძრავი ნივთის იდენტიფიკაციის საშუალებას ან არსებობს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა საფუძვლები."

4. ამდენად, სახეზეა სარეგისტრაციო წარმოების შეჩერების კანონით გათვალისწინებული საფუძველი.

წინამდებარე გადაწყვეტილება ძალაში შედის სააგენტოს ვებგვერდზე გამოქვეყნებისთანავე. გადაწყვეტილება გამოქვეყნებიდან 30 კალენდარული დღის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში და მხოლოდ შემდგომ სასამართლოს წესით. საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს იურიდიული მისამართია: ქალაქი თბილისი, ვახტანგ გორგასლის ქუჩა, №22; ამასთან, ადმინისტრაციული საჩივრის წერილობითი ფორმით ჩაბარება შესაძლებელია სსიპ იუსტიციის სახლში (მისამართი: ქ. თბილისი, ზვიად გამსახურდიას სანაპირო №1), მის სტრუქტურულ ერთეულებსა და ტერიტორიულ ორგანოებში, ასევე, ფოსტისა და მოქალაქის პორტალის – my.gov.ge-ს მეშვეობით.



ფორმატი	ფაილის სახელი
A 3	მიწისქვეშა ავტოსადგომი -4.50 ნიშნულზე

არქიტექტურული ნაწილი

შენიშვნა:

საძ. კიბის უჯრედი 40,8 მ
ა. ავტოსადგომის საერთო ფართი-1 137.70 მ
მათ შორის
1. ავტოსადგომები-43 ერთ. X 12.00მ^2=516.00მ
2.შიდა სავალი გზები-621.70 მ

პირობითი ნიშნები:

— კორექტირებული უბანი

დამკვეთი: თ. ჯაბილაშვილი
შპს "ბინექს"

მისამართი:

ქ.თბილისი. ჭყონდიდელის ქუჩა №22.
საკადასტრო კოდი: 01.12.12.024.195

დაკვეთა:

მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი

შემსრულებელი

შ.პ.ს. "ბინექს"

ქ. თბილისი გახოკიძის №139

406095130

თანამდებობა	გვარი	ხელმოწერა	თარიღი
დირექტორი	თ. ჯაბილაშვილი		
მთ.არქიტექ.	გ. გოგრიჭიანი		
ავტორი	გ. გოგრიჭიანი		
თანაავტორი	თ. ფიფია		
დაამუშავა	თ. ფიფია		
შეამოწმა	გ. გოგრიჭიანი		


დაკვეთა:	5
თარიღი:	23/10/2018
მასშტაბი:	1:200

BINEX

სტადია	ფურცელი	ფურც. რაოდ.



მოეწყობა მექანიკური ამწე



ფორმატი	ფაილის სახელი
A 3	I სართულის გეგმა 0.00 ნიშნულზე

არქიტექტურული ნაწილი

შენიშვნა:
სად. ჯიბის უჯრედი 86,4 მ²

პომერციული ფართი 359,88²
აქედან: ანტრესოლი 92.7 მ²

დამხმარე ფართი 75,1 მ²
ავტოსადგომების ფართი-
12.00 მ² X 39=468.00 ჯმ
მათ შორის:
დახურული - 9 ერთ. - 108 ჯმ
ღია - 30 ერთ. - 360 ჯმ

პირობითი ნიშნები:

— სანიაღვრე მილი
— საკონტროლო შახტა
— გათბობა-კონდიციონერება

დამკვეთი:	თ. ჯაბილაშვილი
	შპს "ბინექს"

მისამართი:

ქ.თბილისი. ჭყონდიდელის ქუჩა №22.

საკადასტრო კოდი: 01.12.12.024.195

დაკვეთა:
მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი

შემსრულებელი

შ.პ.ს. "ბინექს"

ქ. თბილისი გახოკიძის №139
406095130

თანამდებობა	გვარი	ხელმოწერა	თარიღი
დირექტორი	თ. ჯაბილაშვილი		
მთ.არქიტექ.	გ. გოგრიჭიანი		
ავტორი	გ. გოგრიჭიანი		
თანაავტორი	თ. ფიფია		
დაამუშავა	თ. ფიფია		
შეამოწმა	გ. გოგრიჭიანი		

დაკვეთა:	5	BinEx
თარიღი:	23/10/2018	
მასშტაბი:	1:200	
სტადია	ფერცელი	ფურც. რაოდ.